

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებთა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვა გამოერტ. საზოგადოების კანცელარიის ფასი განცხადებას: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კობ., მეოთხეზედ—8 კობ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ივერიის

ვაკატორი თამაზიშვილისა შვილავითურთ, აუწყებს რა გარდაცვალებას შვილისა

ალექსანდრე თამაზიშვილისას

სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთ პატივი სცენ და მობრძანდნენ გამოცხადებულ შაბათს, 21 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, ფომინის ქუჩა, მირზოვეის სახლიდან. (2—უ.—2)

ტფილისის ვაჭართა მამასახლისი

დ. იმის ახსნაზნი

სთხოვენ ტფილისის პირველ და მეორე გილდის ვაჭართ. მობრძანდნენ საზოგადო კრებაზედ, რომელიც მოხდება კვირას, 22 ამა ნოემბერს, დილის 11 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საკნებია:

- 1) მოხსენება იმის შესახებ, რომ ტფილისის ვაჭრობისა და მანუფაქტურის კომიტეტმა მიიღო ფინანსთა მინისტრის მიერ ამა წლის 21 აგვისტოს დამტკიცებული **წესდება ტფილისის საქონლისა და სასაფლაოებისა**.
- 2) არჩევანები, საკომერციო სასწავლებლის წესდების მე-21 §-ის თანახმად, საკომერციო სასწავლებლის სამსწავლებლო საბჭოს თავმჯდომარისა და ხუთის წევრისა.
- 3) ტფილისის ობლასტის სასამართლოს ორის წევრის და მათის კანდიდატების არჩევანები შემდეგის სამის წლისათვის.
- 4) არჩევანები, ტფილისის სახანო პალატის წინადადების თანახმად, სასახლისა პალატის სასაზღვაო სასწავლებლის ოთხის წევრისა და ორის მათის მოადგილისა და ტფილისის ქალაქის საბჭოს გამწეველ ორის სასწავლებლო საბჭოს და ოთხის მოადგილისა.
- 5) მოხსენება იმის შესახებ, პროცენტის მხრივ იქმნას შეთანხმებული იმ გარდასახადის კვალობაზედ, რომელიც ერთმეფათ პირველ და მეორე გილდის ვაჭრებს ყოველწლიურად ხაზინის სასარგებლოდ, გარდასახადი, რომელიც იმავე ვაჭრებს ერთმეფათ ადგილობრივ ვაჭართა საქონლის დასაკმაყოფილებლად. (1—178—1)

პილიის პიიმი

ა. გ. სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დან 2-მდე და ნაშუადღევის 5-დან 7-მდე.

მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—10)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუთვიაში, ვორანოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

- ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საღმრთაქართო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
 - გ. მ. ჩაქვაძე, 9—10 საათ. სნეულბანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
 - ფ. ა. ბახანასანი, დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
 - ა. თ. პრატასკვიანი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.
 - ს. ზ. კარაბეგაძე, 1—1 1/2 საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
 - ბ. გ. გუგუაძე, 1 1/4—2 1/4 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.
- საღამოობით:
- გ. მ. ძახვიაძე, 6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
 - ს. ნ. შვაკაძე, 6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.
 - ბ. ა. ნავასარდიანი—6 1/2—7 საათ.
 - ტ. ა. რუფაძე—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროს-

კობიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; დარიგებისა უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალო დაქტორია მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница Д-ра Навасардиана.

Тифлисъ, противъ памяти. Воронцову (7)

ტფილისი, 19 ნოემბერი

ჩვენს გუშინდელს მეთაურში მოვიხსენიეთ, რომ მხადდება კანონ-პროექტი უკანონოდ შობილთა შესახებ შიდა-რუსეთის გაზეთების სიტყვით. ესევე გაზეთები გვაუწყებენ რა გზით. განუზრახავთ გასწორება ამ შემთხვევაში საქმისა და რა წესრიგობა დაუპირებიათ დაადგინონ ამ საქმის უფრო სამართლიანად წარმართვისათვის. იგი წესრიგი ჩამოთვლილია იმ გაზეთში, საიდანაც ეს აშავი შევიტყუეთ, და რომ ჩვეულებრიდეთ, დავინახავთ, რომ უკანონო შვილი ისე უნებურად და უმწეოდ აღარ ახელს თვალს ამ წუთის-სოფელში შემოსასვლელად, როგორც აქამომდე იყო. კანონ-პროექტი გარკვევით და ცხადად ამბობს-რა უფლება და მოვალეობა უნდა მიეკუთვნოს ცალკე დედას, ცალკე მამას და ცალკე უკანონო შვილს.

აქ ყველაზე უწინარეს სახსენებელი ის არის, რომ მშობელობის უფლება (родительская власть)

ედლევა დედას მთლად და განუყოფელად და არა მამას. ამასთან დედა მოვალეა უპატრონოს შვილს, გაზარდოს და მისი ინტერესების წარმომადგენელი იყოს ყველგან, საცა კი საქროება მოითხოვს. ხარჯს უკანონო შვილის გაზრდისა და სწავლებისას კანონ-პროექტი ვალდასდებს შეძლებისამებრ დედას, ვიდრე შვილი სრულ-წლოვანა შეიქმნება. უკანონო შვილს გვარი დედისა უნდა მიეთვისოს და თუ დედა არ იციან ვინ არის, სახელი ნათლიასი მამეულად გადაეთვებული უნდა მიეცეს გვარად. ოცდა თერთმეტის წლის განმავლობაში დაბადებულან უკანონო შვილს ნება აქვს სამართლით დიმიტრიკოს თავისი შთამომავლობა ამა თუ იმ დედა-კაცისაგან. დედეულის მამულსა და ქონებაში უკანონო შვილს ისეთივე მონაწილეობა ეძლევა, როგორც კანონიერ შვილს.

მამის შესახებ კანონ პროექტის სულ ახალი წესი შემოაქვს, აქამდე არსებულ კანონებში არ ხსენებული: მაგალითებრ, მამა უკანონო შვილისა მოვალეა, თავისი შეძლებისამებრ, იტვირთოს ხარჯი, რაც-კი მოუწდება გაზრდის, მოვლისა და სწავლებას უკანონო შვილისას, ვიდრე სრულ-წლოვანი შეიქმნება, თუ დედის შეძლება არ გასწვდა და ყოველ ამს არ ჰყოფნის. უკანონო მამა აგრედვე მოვალეა აძლიოს ხარჯი თვით უკანონო შვილის დედასაც თავის შესახებ, თუ დედას ამისათვის შეძლება არა აქვს, ან ულონო თავისის საკუთარის შრომით და გარჯით იზოვოს საცხოვრებელი საჩი. ორსავე შემთხვევაში სამართალმა იმოდენა ხარჯი უნდა დაავალოს უკანონო მამასა დედისა და შვილის საჩინად, რაც დედის შეძლებას აკლია. ეს მოვალეობა უკანონო მამისა, რომ სახსარი ცხოვრებისა მისცეს დედასა და შვილს, თვით მამის სიკვდილ შემდეგაც უნდა შესრულებულ იქნას და მისმა ქონებამ უნდა იხადოს იმმემკვიდრეობის წილის კვალობაზე, რომელიც შევხვდებოდა უკანონო შობილს, მამისაგან შვილად მიჩნეულს.

ეს შვილად მიჩნევა უკანონო შვილისა ახალი ამბავია აწ არსებულ კანონებისათვის. უკანონო მამას ნება ეძლევა თავისი უკანონოდ შობილი შვილი შვილად აღიაროს და თავისის კეთილის ნებით მიანიჭოს უფრო მეტი უფლებანი, ვიდრე კანონითა აქვთ უკანონოდ შობილთა. უკანონო მამას შეუძლიან ნოტარიალურ წესით, ანდერძით, ან ადგილობრივ მოსამართლესთან განცხადებით თავისი უკანონო შვილი იშვილოს და ამით უკანონო შვილს მიენიჭება მამეულობის სახელწოდება და მამეული გვარი. გარდა ამისა მიენიჭება უფლებაც მემკვიდრეობისა მამის ქონებასა და დედულ-მამულში, ხოლო კანონიერ შვილებთან თანასწორად კი არა, თუ კანონზე მივარდება სა-

მე გაყოფისა და განაწილებისა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნაშვილევს წილი უნდა მიეცეს მარტო იმის ნახევრიდამ, რაც კანონიერ შვილების საწილობელია. სხვა არა რა საზოგადო უფლებანი კანონიერ შვილებისა ნაშვილებს არ მიეთვისება, მამის ტიტული, წოდებრივი უფლებანი არ გადადიან უკანონო შვილზე, ამიტომაც ეს უკანასკნელი უნდა ჩარიცხულ იქმნან ხარჯთ-მძლეველთა მკვიდრთა შორის.

მამას, რომელმაც თავისი უკანონო შვილი იშვილა, ნება აქვს ზედა-მხედობა იქონიოს შვილის მოვლასა, გაზრდასა და სწავლებაზე, თუნდ შვილი დედის ხელთ იყოს. მამას ნება აქვს იყოს მის აპეკუნადაც და თუ ვინცობაა უკანონო შვილს დედა მოუყვდა, ან არ იციან დედა ვინ არის, მაშინ მშობლობის უფლება მამას უნდა ეკუთვნოდეს. მამას, როცა შვილად აღიარებს თავისი უკანონო შვილს, ნება არა აქვს დაასახელოს დედა მისი, თუ მეტრიკის წიგნში დასახელებული არ არის. თუ უკანონო შვილის მამას კანონიერი ცოლი ჰყავს და მასთან კანონიერი შვილებიც, იგი ვერ იშვილებს უკანონოდ შობილს შვილს, ცოლის ნება დაუთვებლად და თვით ყმაწვილის დაუკითხავად, თუ 14 წლის ასაკშია ყმაწვილი.

თუ მამას, რომელმაც თავისი უკანონო შვილი იშვილა, კანონიერი შვილებიცა ჰყავს, მაშინ მამისაგან სამკვიდროდ დარჩენილ ქონებიდამ ნაშვილევს უნდა ერგოს წილად ნახევარი იმისი, რაც ერგებოდა, კანონიერი შვილი რომ ყოფილიყო. თუ კანონიერი შვილები არა ჰყავს და მემკვიდრეობა ჰრჩებათ ძმებსა და ძმებს ნაშვილევს მამისას, მაშინ სამკვიდროს უნდა გამოაკლდეს საქვრივო კანონიერ ცოლისათვის და დანარჩენიდან მთელი ნახევარი უნდა ერგოს ნაშვილევსა და თუ გარდაცვალებულ მამას ნაშვილევსაც ცოლის მეტი არავინ დარჩა, არც ძმები, არც დები, მაშინ, საქვრივოს გარდა, რაც სამკვიდრო ქონებაა სულ ნაშვილევს უნდა მიეკუთნოს. უკანონო შვილიც, ისე როგორც კანონიერი, მოვალენი არიან უპატრონონ და შეინახონ დედ-მამა, თუ გაქირებაში ჩასცივიან.

ეს არის იგი, რაც კანონ-პროექტით შეეხება უკანონო შვილების სხვებდას. ხოლო კანონ პროექტი იხსენიებს იმისთანა შვილებსაც, რომელნიც დაქორწილებულ დედ-მამისაგან შობილან და მას მერმედ ქორწინება კანონიერად არ უცნიათ და გაუუქმებიათ. ამისთანა შვილებს კანონ-პროექტი აკუთნებს უკლებლად ყოველს იმ უფლებას, რაც კანონიერ შვილებსა აქვთ. ხოლო განქორწინებას ცოლ-ქრმობის გაყრა მოსდევს და აქ საქმე ის არის,—ვინ უნდა გაიყოლოს შვილები, ვინ უნდა თავისთან იყო ღიოს? მართალია, შვი-

ლის თავისთან ყოლა მოვალეობაა, მაგრამ დიდი ბედნიერება და სიხარულიც არის როგორც დედისათვის, ისეც მამისათვის და რაკი კანონი ცოლქმარის ერთმანეთს აშორებს, ამ ორ-კეც ტფილისსაც წამალი უნდა დასდოს: ზოგს არ ენდომება შვილისათვის მზრუნველობის ტვირთი ჰხადოს, ზოგი ყოველ გვარ წვალებას და წამებას იკისრებს, ოლონდ შვილთან იყოს და შვილი მასთან. ამ შემთხვევაში კანონ-პროექტი საქმეს ჯერ დედ მამას ნებაყოფლობაზე ავდებს და თუ ვერ მორიგდნენო, ვაქი-შვილები მამას შერჩენ და ქალი-შვილები დედასა და ამასთან მამას მოვალეა ჰხდის დედასთან დარჩენილ შვილების საზრდადაც ხარჯი გასწიოს და საპატრონებელი და შესახი ღონის-ძიება აძლიოსო.

აი ჯერ-ხანად ის ცნობები, რაც ერთმა სტატეტო ქალაქის გაზეთმა მოგვიტანა, ვითარც მის მიერ გაგონილი ამბავი. ჯერ არვინ იცის, როგორ გაივლის ეს კანონ-პროექტი თავისი ჯეროვანს გზას, რა დაემატება, რა გამოაკლდება, რა სახეს მიიღებს, ვიდრე ცხოვრებაში სამოქმედო კანონად შემოვა. იგი გაზეთი, საიდანაც ეს ამბავი ჩვენ ამოვწერეთ, ქებით და კმაყოფილებით იხსენიებს-რა ამ კანონ-პროექტს, ერთს წუნს სამართლიანად სდებს, როგორც ჩვენა გვეგონია, და ძალიან ჰქუას ახლოც არის. კანონ-პროექტი როგორც ზემოდა ვთქვით, სავალდებულოდ ჰხდის, რომ ცოლიანი კაცი, თუ ნება რთვა არ აიღო ცოლისაგან, ვერ იშვილებს სხვისთან უკანონო ნაყოლს თავისი შვილისათ. თუ, ამბობს იგი გაზეთი, ქმარმა გარედ აიჩინა საყვარელი, აშკარაა ცოლმა ეს ამბავი საწყენად უნდა მიიჩნიოს, ან არა და უკმაყოფილო ცოლქმრობა უნდა ჰქონდეთო, რომ ამისთანა წყენას არ მოერიდოს ქმარი. და რა საფიქრებელია, რომ ან ერთს შემთხვევაში, ან მეორეში წყენით გაწიშობებულმა და გაბოროტებულმა ბევრმა წილმა ცოლმა ამისთანა ქმარს თავზე ხელი გადაუსვას, ბარაქალა უთხრას და გარედ შობილი აშვილებინოს, რაკი მისს ნებაზე იქნება ეს დამოკიდებული.

აშკარაა, აქ ცოლის ნებაყოფლობის აღება მეტის-მეტი ბარგია და მერე გმისთანა ბარგი, რომლის სიმძიმის ქვეშ გაისრისება ყოველივე პატიოსანი კულთა-თქმა ადამიანისა, თუნდ პატიოსანი და გულწრფელი სურვილი დღე და ღამ ძალას ატანდეს შემცოდველს მამას საიმისოდ, რომ თავისი შვილი იშვილოს და მით ბუნებური და ზნეობური კანონი, მის მიერვე პირქვე დაცემული და გამოილი, აღადგინოს, თვითონაც მოისვენოს სულითა და გულით სინიდისის ქენჯნისაგან და უცოდველს ბავშვს თავისი ცოდვა საზღაურად არ გაუხადოს, ან დაბადებისვე უმალ, ან როცა ცხოვრების მოედანზე ფეხს გასდგამს.

მთავრობის განკარგულებაში

ეზოდა სამსახურის წესთა შესრულებისათვის გამოგზავნილი სპეციალური...

ახალი ამბავი

კავკასიის მთავარ-მართებელის თანამშრომელი გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე...

კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ-ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა...

ტფილისის ვიცე-გუბერნატორმა სტეფანოვიჩმა და საგუბერნიო მკურნალმა...

ქსარხოსის მოედანზე ამ ეკლესიის შენობის აღმშენებლის გაშენების...

ცნობილი ინჟინერმა ლინდლემ, რომელმაც შეადგინა პროექტი წილკანის წყაროებიდან ტფილისში...

ამ რამდენიმე ხნის წინად, კავკასიის სამხრეთ-დასავლეთით...

როგორც ოფიციალურის ცნობებიდან სჩანს, საქონლის პირი თიონეთის მაზრაში...

გუშინა ვეწრდით, რომ ყარაღაჯის ხუთ ღორის ხორცს ტრიხინა აღმოაჩინდა...

ტფილისში არსდება ახალი საავტორიო საზოგადოება, რომელსაც სახელიად ეწოდება „ტფილისის აღმშენებელი საზოგადოება“...

1898 წელს, 25 მაისს, სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად დამტკიცებული დანაშაულებების ძალით...

კვირას, 22 ნოემბერს, ტფილისის მაზრის სოფელ ზემო ავკლაში აკურთხებენ მცირე-წლოვან დამწვევთა ჯამაგორებელ ახალშენის ახალს შენობას...

ქუთაისიდან სწორედ რუსულ ვაჭრებს, რომ 16 ნოემბერს ქალაქის საბჭომ...

წელსაც ქ. ტფილისში არსებული სამისიონერო სასულიერო განმანათლებლობით...

საქონლის მართვის საზოგადოება, რომელსაც აქვს გაიყვანოს და აწარმოოს ვიწრო ლიანდაკიანი რკინის გზა...

ამ უკანასკნელს ორ დღეში ტფილისში კიდევ 10 კაცი გახდა ყვავილით ავად.

ბაქოდან იუწყებიან, რომ რკინის გზის მოსამსახურე ვარლამ სუთიძე 19 ნოემბერს...

ბაქოდან იუწყებიან, რომ რკინის გზის მოსამსახურე ვარლამ სუთიძე 19 ნოემბერს...

გაზ, „კავ“-ს სწორედ, რომ ამ დღეებში სიღნაღის მაზრაში, კარდახის მცხოვრებელს...

დაუჯდომელის მოსასმენლად ბევრი ხალხი დადიოდა ქაშვეთის ტაძარში. „ქაშობას“ იმედი აქვს, რომ ქართველი საზოგადოება...

„Ит. В.“-ს სიტყვით, პეტერბურგში სდგება მექციეთა ახალი საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს გაიყვანოს და აწარმოოს ვიწრო ლიანდაკიანი რკინის გზა...

ამ უკანასკნელს ორ დღეში ტფილისში კიდევ 10 კაცი გახდა ყვავილით ავად.

ბაქოდან იუწყებიან, რომ რკინის გზის მოსამსახურე ვარლამ სუთიძე 19 ნოემბერს...

ბაქოდან იუწყებიან, რომ რკინის გზის მოსამსახურე ვარლამ სუთიძე 19 ნოემბერს...

გაზ, „კავ“-ს სწორედ, რომ ამ დღეებში სიღნაღის მაზრაში, კარდახის მცხოვრებელს...

ზნის ხილზე დადიოდა, რადგან ვინაიდან ტყის დარაჯმა, ლეკმა...

იმედი გაუთის სწორედ გორის მაზრიდან: ახას წინად, როდესაც სოფ. შაშინის მცხოვრებელი ილია კაკაშვილი...

ამას წინად გორის მაზრაში სოფელ მაღაროში, სანდრა კოხაშვილმა ჩხუბის დროს...

ს. ს. ვ. რ. ე. ს. ა. (შორაპის მაზრა), 15 ნოემბერი. წელს პეტრევისაში პირნახულის მოსავალი...

ღვინით გაბრუნებული ხალხი ბუზიხით ირგოდა და ხშირად არასასიამოვნო ამბავსაც ახლენდა...

ამაღობაში გამარჯვებული ახალგაზდა მხედარი როგორღაც გაუსწლტა ხალხს ხელიდან...

ამაღობაში გამარჯვებული ახალგაზდა მხედარი როგორღაც გაუსწლტა ხალხს ხელიდან...

ქალაქის საბჭო

18 ნოემბერი

16 ნოემბრის კრების ანგარიშის წაკითხვის შემდეგ ხმოსანი ა. ბ. ევანგელოვი წამოადგა...

ფელეტონი

„მითხროვდები, მაგრამ...“

(პაწია ამბავი ტფილისის ცხოვრებიდან)

სიკო ეს არის ეხლა დაბრუნდა სამსახურიდან სახლში და დაბეჭდილი ბარათი დაჰხვდა...

„უფალო სიკო, სწორად ვილა: თეზი სიღნაღის ეძებს, კაცი კიდევ სიკეთეს, მაშნაუბრად მიწყენ სიმათლისთვის...“

მივარდა და ერთმანეთს ჯვარისწერის პირობაც მივეცი...

სიკოს თავ-ბრუ დაესხა და თითქოს ერთს საათს გაშტერებული იდგა...

„არ მეგონა, თუ ჩემი საწყალი ბედი ვისმეს შეჭმურდებოდა...“

იკითხე. ეხლა კი ნახვამდის... შენგნით გულნატკენი სიკო... სიკომ ეს ბარათი ჩასდო...

ფეფო და ნიკო დაღონებულ-ჩაფიქრებულნი ისხდნენ. ხან-გამოშვებით ფეფო კვნი-ობრადა კიდევ, ნიკო მხოლოდ დანანებით თვალს ავლებდა...

— ნიკო, უცებ წამოიძახა ფეფომ: სიკო სხვას რასა გწერს?.. ვინ იცის, მეც როგორ მლანძღავს?!

— კი არ შემაშინა, მაგრამ... — მაგრამ? — ყველაფერი მენიშნა... — ვინ იცის გაჯავრებულმა რა არ მოიგონა...

ნიკომ ფეფოს მისცა სიკოს წერილი და ფეფომ კითხვა დაიწყო: „მეგობარო ნიკო! ქვეყნის გადაბრუნებას ვიფიქრებდი და შენს გაიძვერობას-კი არა...“

— ნიკო, უცებ წამოიძახა ფეფომ: სიკო სხვას რასა გწერს?.. ვინ იცის, მეც როგორ მლანძღავს?!

აქვითე თვალები?... ნუ თუ არ იცი, რომ მისი სიყვარული გულში მაქვს ჩავარდნილი...

შენგნით გულ-ნატკენი სიკო... ფეფომ გაათავა თუ არა წერილის კითხვა განხედ გადასტყორცნა და, ნიკოს აღრისიანად გარდაცხვია:

— „შენ ოღონდ ცოცხალი მყავდე და წამლად დაგვადებო. — რაო, მისთხოვდები? — მივთხოვდები, მაგრამ... — მაგრამ? — ისევ შენი ვიქნები... — ?!..“

ცხენის რკინის გზის საქმის დაბოლოების შესახებ მე ცალკე მოხსენება მაქვს, რომელსაც, თუ გნებავთ, მე თითონვე წავიკითხავ ეხლავე, თუ არა და თქვენ გადმოგცემთ.

ქალაქის მოურავი. წაიკითხეთ.

სმ. კეანგულა. (კითხულობს) საბჭომ გარდასწყვიტა, ტფილისის ცხენის რკინის გზა ბელგიის უსახელო საზოგადოებას მიეცეს იჯარით და ამ საქმის ხელშეკრულების პროექტიც დაამტკიცა. მე თანხმა არა ვარ ამ დადგენილებისა, რადგან ბელგიის უსახელო საზოგადოების გარდა სხვებისაც უნდათ ამ გზის იჯარით აღება და უკეთეს პირობებსაც უდებენ ქალაქს.

კავკასიის მთავარ-მართებელმა თავადმა გოლიცინმა არ შეიწყნარა საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ცხენის რკინის გზა გამოეყიდა ქალაქს და თითონვე ეწარმოებინა, მაგრამ მისის ბრწყინვალეობის მოწირობაში ერთი სიტყვაც არ არის ისეთი, რომელიც ქალაქს გზის გამოყიდვას უშლიდეს იმ განზრახვით, რომ შემდეგ ისევ იჯარით იქმნას გაცემული. ამიტომ ვთხოვთ მის ბრწყინვალეობას, კავკასიის მთავარ-მართებელს, ნება მოგვცეს ხსენებულის გზის გამოყიდვისა ბელგიის უსახელო საზოგადოებისაგან იმ პირობით, რომ გამოყიდვისთანავე, მეტს ვინც მოგვცემს, იმას მივცეთ იჯარით. ხოლო ხარალი, რაც ქალაქს მოუვიდა გზის გამოყიდვისა და წარმოებისათვის სამზადისის გამო, იმან უნდა ჰხლოს, ვისი ბრალიც არის ეს.

ქალაქის მოურავმა ჩამოართვა ბნის ევანგელის ეს ქაღალდი და უთხრა, რომ საქმეში ჩაგაკერებთ.

ქალაქის მოურავი. ჩქარა შესრულდება ასი წელიწადი რუსეთის მმართველობისა ტფილისში. ქალაქი ვალდებულია, ეს ღირს-შესანიშნავი დღე რითიმე აღნიშნოს. საბჭომ ერთს წარსულ თავის კრებაზედ ის აზრი გამოსთქვა, რომ სასურველია უკანასკნელ ასის წლის ისტორია იქმნას შედგენილი ტფილისისა და ამ საქმისთვის 15 ათასი მანეთი გადასდოს ხარჯად. მაგრამ ზოგიერთ ხმოსანს სხვა წინადადება აქვს შემოტანილი ამ საგნის შესახებ. ყველა წინადადება რომ იქმნას აწონილ დაწონილი და მათ შორის ტფილისის ასის წლის ისტორიის შედგენის სურვილიც, საჭიროა კომისია ავირჩიოთ. ეს კომისია გამგეობასთან ერთად გამოარკვევს, რით და როგორ იდღესასწაულოს ტფილისში რუსეთის მმართველობის ასის წლის შესრულების დღე.

სმ. ივანესიანი. ქალაქის გამგეობამ წინად მოიწვია გარეშე კაცები, რომელთაგან ყველას საპატიო ადგილი უჭირავს საზოგადოებაში, როგორც საქმის საგანგებო მკონდენი და თვალ-საჩინო მოღვაწენი, და იმათ დაავალა ტფილისის ისტორიის შედგენის პროგრამის შემუშავება. იმათაც არ დაიხარეს და ქალაქის წარმომადგენლის თხოვნა შესრულეს. ეს პროგრამა კიდევ განიხილა საბჭომ და ხარჯიც გამოიანგარიშა. ეხლა გვეუბნებით, რომ სხვა კომისია ავირჩიოთ და იმას მივანდოთ სადღესასწაულო გეგმის შემუშავება. ეს არ ივარგებს, რადგან უზნებულობა გამოდის საბჭოს მხრივ იმ გარეშე კაცთა შესახებ.

სმ. სულადა. მე ვეთანხმები ბნ ივანესიანს: მართლაც უზნებულოა. ბაა ჩვენი მხრივ უარ-ვწყობთ გარეშე კაცთა ნაშრომი და ეხლა სხვა კომისია ავირჩიოთ, მაგრამ საბჭო აქ დამნაშავე არ არის; ეს იმათი ბრალია (გამგეობის წევრებისა), რომლებმაც იმ თავითვე საზოგადოდ მიღებული წეს-რიგი დაარღვიეს და საბჭოს დაუკითხავად მიანდვეს გარეშე კაცებს საქმე. გამგეობამ საიდგან იცოდა, საბჭო მოისურვებდა თუ არა ტფილისის ისტორიის შედგენას.

ასახელებენ კომისიისათვის კანდიდატებს და მათ შორის თავ. გ. მ. თუმანოვს და ბ.ნ. ა. ი. ივანესიანს.

სმ. ივანესიანი. მე უარს ვაცხადებ ამ კომისიის წევრობისას, რადგან წინანდელ კომისიის წევრად ვიყავი. მართლაც, რას ვმსჯავებ, ანუ რას იფიქრებენ ის გარეშე კაცები, რომელთა ნაშრომი საბჭომ განხილვის ღირსადაც არ იცნო, რომ მე ამ კომისიაში ჩავწერო?!.

თავ. გ. მ. თუმანოვი. ჩვენი კომისია და თქვენი კომისია ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. წინანდელმა კომისიამ მარტო ერთი საგანი განიხილა, ხოლო ეს კი ყველა წინადადებას განიხილავს.

სმ. ქაოსრანცი. ეს კომისია იმასაც განიხილავს, გამოიცეს თუ არა ტფილისის ასის წლის ისტორია. მართალია, ამ საქმის პროგრამა იმ კომისიამ შეამუშავა, მაგრამ ჩვენმა კომისიამ მაინც უნდა გადასინჯოს იგი.

სმ. ივანესიანი. საქმეც ის არის, რომ არც იმას ამბობენ აქ—ეს ახალი კომისია განიხილავს თუ არა წინანდელ კომისიის შედგენის პროგრამას ტფილისის ისტორიის შედგენის შესახებ.

ქალაქის მოურავი. განიხილავს, მაგრამ შეუძლიან არ მოიწონოს. კანდიდატები იქმნენ დასახელებული და ყუთებიც შემოიტანეს კენჭის საყრდელად.

სმ. ა. ს. ბაბოვი. გადავდით შემდეგისთვის კომისიის არჩევანი, რადგან დღეს ხმოსანთა რიცხვი მცირეა. ისინიც კი არ არიან, რომელთაც კანდიდატებად ასახელებთ და კენჭი კი უნდა ვუყაროთ, როგორც, მაგალითად, ქ. ა. ვერმიშვი.

საბჭომ შეიწყნარა ეს წინადადება და კომისიის არჩევანი მომავალ ორშაბათისთვის გადაიდო.

ქალაქის მოურავი. ხმოსანი ხუდადოვი ამას წინად შემეკითხა—რა მიზეზია, რომ ზოგიერთს ქუჩებს, მაგალითად ანდრიევსკისა და ერთს ნაწილს ნიკოლოზისა, გულს-მოდგინედ რწყავენ, ხოლო სხვებს არა და აგრეთვე ქუჩების მოსაკენჭი უთავბოლოდ ჰყრია ქუჩებში, ისე რომ კაცს ვერ გაუვლიაო. ამის პასუხს აი ეს მოგცემს (ქალაქის ინჟინერ მუხარინსკიზედ მიუთითა).

ანჟინერა მუხარინსკი. ანდრიევსკის ქუჩა იმითმ ირწყვებოდა განსაკუთრებით, რომ იმ გზას ჰკირწყლავდნენ ზაფხულში, რის გამოც მტვერი დაგებოდა გზაში და ამისთვის ხშირი მორწყვა იყო საჭირო. ნიკოლოზის ქუჩაზედ ორი ეკლესიაა და რადგან ეკლესიებში ხშირად ბევრი ხალხი დადის, მტვერი აღიოდა და ამისთვის ხშირი მორწყვა იყო საჭირო. რაც შეეხება ქუჩების მო-

საკენქ მასალას, ამის რიგსა და წესზედ დაწყობის შესახებ კანონიერი განკარგულება გაცემული.

სმ. სულადა. ბნ მუხარინსკის განმარტებამ ვერ დამაკმაყოფილა. ანდრიევსკის ქუჩა წარსულ ზაფხულის განმავლობაში არავის უკირწყლავს, რომ განსაკუთრებულ ყურადღების მიქცევა ყოფილიყო საჭირო მისის მორწყვისთვის. აგრეთვე ნიკოლოზის ქუჩაზედ თუ ეკლესიებია, იქ ყოველ დღე რდი დადის ხალხი სალოცავად, არამედ კვირაუქმე დღით. მაშასადამე, ეკლესიების შუა ქუჩის განსაკუთრებულად რწყვა სულ სხვა მიზეზიაგან არის გამოწვეული. გარდა ამისა, უნდა მოვახსენოთ, რომ ბევრი ქუჩა მეტად ცუდს მდგომარეობაშია, ისე რომ კაცს გავლა არ შეუძლიან. მაგალითად, ანდრიევსკის ქუჩის ბოლო და ელისაბედისა ისე უყურადღებოდ არის დატოვებული, რომ იქ მოსიარულე მეეტლენი დიდს გაქირვებაში არიან. შეშა ვერ გამოუტანია ამ გზებით კაცს და სხვა გზა არც უდგება შემის საწყობებს.

ქალაქის მოურავი. ყველა ქუჩის ნაკლულევენება რომ ჩამოსთვლოთ მთელი საღამო მოუწდება. ვალდებული ხართ, როგორც ხმოსანი, ყურადღება იქონიოთ ქალაქის ავ-კარგინობაზედ, ისე როგორც ჩვენ, გამგეობის წევრნი.

სმ. სულადა. აკი ყურადღებამიჭირავს და კიდევ მოგახსენებთ, მაგრამ რომ არა გამოადის, რა!

სმ. ა. ს. ბაბოვი. გაზეთებში ხშირად იბეჭდება ხოლმე ქალაქის უწესრიგობის შესახებ შენიშვნები, რომელნიც ჩირქსა სცხებენ ქალაქის თვით-მართებლობას...

ქალაქის მოურავი. მართალია.

ა. ს. ბაბოვი. ამბობენ, ვეტცელის ქუჩის მემამულეებმა ფული კიდევ მოკრიფეს ქუჩის მოსაკირწყლავად, მაგრამ ამ ქუჩის მოკირწყვლისათვის ჯერ არც-კი უფიქრიათ. ამასთანავე „კავკასში“ იყო დაბეჭდილი, ვითომც სამოსამართლო დაწესებულებათა შენობის უკან ისეთი მყარალი სუნი ამოდიოდეს, რომ იქაური მცხოვრებნი დიდად შეწუხებულნი იყვნენ.

ინჟინერა მუხარინსკი. ვეტცელის ქუჩაზედ ჯერ ფული სავსებით არ მოკრეფილა, ხოლო სამოსამართლო უწყების შენობის უკან მართლაც ცუდი სუნი ამოდიოდა არხიდან, რომელიც შემოდგან ავგლიჯათ მცხოვრებლებს ნებისა და ნავაგის ჩასაყრელად, მაგრამ განკარგულება გაცემული, რომ დაუყოვნებლივ იქმნას გაკეთებული.

ა. ს. ბაბოვი. (ქალაქის მოურავს) როცა რომელსამე გაზეთში ქალაქის უწეს-რიგობის შესახებ წერილი დაიბეჭდება, თქვენ პასუხი უნდა დაბეჭდოთ და სიმართლე აღადგინოთ, როგორც, მაგალითად, ამ შემთხვევაში. ამის შემდეგ საბჭოს მოხსენდა გამგეობის გარდაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ქალაქმა საკუთარი სახლი ააშენოს წყლის მილის სახელოსნოსათვისაო.

საბჭომ დაადგინა ამ საგნის განხილვა გადასდოს მომავლის წლის ხარჯთ-აღრიცხვის დრომდე და ეხლა გამგეობა მოუჩივდეს ან იმ სახლის პატრონს, რომელშიაც სახელოსნოა მოთავსებული და ან სხვა შენობაში გადაიტანოს იგი.

მარილად სიტყვა ფოთის მომავალ სამხარკომო დედათა სასწავლებლის შესახებ.

„ივერიის“ წარსულ კვირის მე-245-№-ში დაბეჭდოდა ფრიად სიყურადღებო „წერილი ფოთიდან“. ეს წერილი მოგვიხარობს, რომ გურია-სამეგრელოს მღვდელ-მთავარს ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს, ესოდენ ცნობილს თვის ქველ-მოქმედებით და საქართველოში მართლმადიდებლობის აღდგენა-აღყვავების ასპარეზზედ დაუღალავ მოღვაწეობით, განუზრახავს დიდის მთავრის მიხედვით ნიკოლოზის ძის 50 წლის სამსახურის აღსანიშნავად დააარსოს ქუთაში საეპარქია დედათა სასწავლებელი და ქალაქის მოურავის საშუალებით შექმთხვია ქალაქის საბჭოს—ქალაქი აღმოუჩინოს სასწავლებელს რაიმე დახმარებას, თუ არაო. ფოთის ქალაქის საბჭო დიდის აღტაცებით მიჰგებებია ყოვლად-სამღვდელოს ამ კეთილშობილურს განზრახვას და აღუთქვავს სასწავლებლისთვის მუქთად მიწის დათმობა და სახლის აშენებაც...

აღენიშნავთ ამ ამბავს, როგორც მოვლენას, ფრიად სასარგებლოს და მრავალ-მნიშვნელოვანს გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასულიერო წოდების მოზარდ ასულთათვის, რომელთა უმრავლესობა დღემდის რჩებოდა სასწავლებლის კეთილ ზეგავლენის გარეშე, უსწავლელი და უცოდინარი. ამას შემდეგ-კი უკეთუ მსცოვანის მღვდელ-მთავრის განზრახვა განხორციელებულ იქნება, ეს არა სანატრელი მოვლენა მოისპობა და გურია-სამეგრელოს საზღვდელოების მოზარდ ასულთა შორის სწავლა-განათლება გავრცელდება... განზრახული სასწავლებელი თავის კარებს გაუღებს საერო წოდების ასულთაც და ესრედ თვის დიადს საკეთილო გავლენას მოჰფენს მთელს გურია-სამეგრელოს... ჩვენ სრულიად დარწმუნებულნი ვართ და ექვ-აუღებლად გვჯერა, რომ ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს განზრახვა განხორციელებულ იქნება: მსცოვანის მწყემსთ-მთავრის სიტყვასა და საქმეს შორის სრული თანხმობა; მისი სიტყვა—დაწყებული საქმეა, მისი განზრახვა საქმის დასაწყისია... ასეთი თანხმობა სიტყვა-განზრახვას და საქმეს შორის მხოლოდ დიდ-ბუნებოვან გვაძლავს ხვედრია, მათდა ზე-გარდმოცემული ნიქია... ყოველ ქართველისათვის საყვარელისა და ძვირფასის დიდის მთავრის მიხედვით ნიკოლოზის ძის 50 წლის სამსახურის პატივ-საცემლად და აღსანიშნავად სწორედ რომ ფრიად-შესაფერი ძეგლის აგება განუზრახავს ყოვლად-სამღვდელოს გურია-სამეგრელოსას. ვინ არ იცის, რა ამავი, რა ღვაწლი დასდო დიდმა მთავარმა ჩვენს ქვეყანაში სწავლა-განათლების გავრცელების საქმეს, როგორის მამობრივის, უანგარო, უზავო და წრფელის მზრუნველობით სცდილობდა დიდი მთავარი ქართველის ერთს ყოველ მხრივ განვითარება-წარმატების გზაზედ დასაყრდენლად... თქვა არ უნდა, რომ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ „ხელთუქმენი ძეგლი“ დაიდგა კავკასიის ერთა ხსოვნაში, ძეგლი, რომელსაც ვერ შეარყევს, ვერ შემუსრავს დროთა ცვლილება... ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე, მოწმე დიდის მთავრის

ფრიად ნაყოფიერის მარტოა... კავკასიაში, მართლაც... ძეგლს სდგამს იმის 50 წლის სამსახურის სახსოვრად...

საეპარქია დედათა სასწავლებელი, რომელშიაც მოსწავლე თაობა მიიღებს შესაფერს სწავლა-განათლებას და გაიცნობს მართლმადიდებლობის სჯულს, იქნება ასეთს ძეგლად, რომელიც თითოეულს მოსწავლეს მოავანებს დიდის მთავრის მიხედვით ნიკოლოზის ძის სხივ-ცისკროვანს სახელს... გურია-სამეგრელოს სასულიერო წოდება, როგორც ვიცით, არავითარს საშუალებას არა ჰზოგავს სასულიერო უწყების სასწავლებლების გასამრავლებლად, დიდს მომაკდინებელს ცოდვად სთვლის თვის შვილების უსწავლელად, უცოდინრად დატოვებას. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ტფილისისა და ქუთაისის, ახალ-სენაკისა და ოზურგეთის სასწავლებლები სავსეა გურია-სამეგრელოს სასულიერო წოდების კაცთა შვილებით. მაგრამ ამავე სასულიერო წოდების ასულთა უფროს-ერთი მოკლებული იყო სწავლა-განათლებას. 1879 წელს დაარსებულს ტფილისის საეპარქია დედათა სასწავლებელში სულ რამდენიმე სტიპენდია არის გურია-სამეგრელოს სასულიერო წოდების ქალთათვის, ქუთაისის საეპარქია გაბრიელის დედათა სასწავლებელშიაც არა სწავლობს შესამჩნევი რიცხვი ამავე სასულიერო წოდების ქალთა; ასე რომ ამ მხრივ დიდ ნაკლსა ჰგრძობდა გურია-სამეგრელოს სასულიერო წოდება... გურია-სამეგრელოს გულ-შემატკივარს მღვდელ-მთავარს ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს ღრმად შეუგნია მისდამი რწმუნებულის სასულიერო წოდების ეს ფრიად საგრძობი ნაკლი და განუზრახავს მისი აკლიება. ჩვენ რაღა დავგრჩენა იმის მეტი, რომ სულითა და გულით ვისურვოთ ყოვლად სამღვდელოს, ალექსანდრეს დღევანდელადა, რათა მას დაემთავრებინოს თვის მიერ განზრახული საკეთილო საშეილიშვილო საქმე... ექვს გარეშეა, რომ გურია-სამეგრელოს სასულიერო წოდება გამოუთქმელის აღტაცებით მიეგებება თვის საყვარელის მღვდელ-მთავრის ამ სანატრელს განზრახვას და ყოველის ღონის-ძიებით შეუწყობს ხელს მის განხორციელებას თვისთა შვილთავე სასარგებლოდ... მით უმეტესად, რომ მას მშვენივრად გათვალისწინებული აქვს თვისი მოწოდება და წმიდა ვალი... ხოლო ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს შესახებ იმავე ვიტყვი, რაც არა ერთხელ გვითქვამს, რომ თითოეული წამი მისი სიკოცხლისა ახალს რამეს, სანუგეშოსა და სასარგებლოს, მოსცემს ჩვენს ცხოვრებას.

ილ. ფ.—ქე

წერილი თელავიდან.

მოგესწენებათ, წარსული წარსულია, მაგრამ აწინდელზედ არის გადამბული მაგარის ჯაქით და ამიტომაც აწმყაში მცხოვრებთ წარსულის დავიწყება ვერ მოკვირებთ, თუნდა გულითაც მოვიწოდოთ ხოლმე. უფრო ხშირად აწინდელი შედეგია წარსულისა და წარსული მიზეზი აწინდელისა. ეს ან-ბანური ქეშმარტება რომ მუდამ თვალწინა გვქონდეს, მრავალს შეცდომას ავი-

ცილებლით თავიდან და უფრო მრავალს სამდურავს აღარ ექმნებოდა ადგილი არც მიმავლის და არც აწინდელის თაობის გულში. ესევე ან-ბანური ჭეშმარიტება სულ სხვა მხრივ დაგვანახებდა ჩვენს ბეჩაობას; ისე თავ-გამოდებით თავის მართლებასა და სხვის მტყუნებაში არ დავხარჯავით ჩვენს ძალ-ღონესა და სხვა და სხვა. ეს ან-ბანური ჭეშმარიტება მისთვის წამოვასკუბე, ბ-ნო მკითხველო, წერილის თავსა, რომ მინდა გავაცნოთ ჩვენის კახეთის და მისის ნაქების ქ. თელავის აწინდელი ყოფა.

თელავის თვით-მართვლობამ ბევრი გადადებ-გადმოდების და აღმდებლების შემდეგ, როგორც იყო, აი-ჩრია მამასახლისის თანამემწე. ამ თანამდებობას რამდენიმე კანდიდატი ჰყავდა, რომელთაგან ერთი ხმოსანი იყო და რომელიც იქნა არჩეული. მწუხარებით ვაცხადებთ, რომ ვერ დავესწარიტ არჩევანს; იქნება გამეგო, რა ღირსებათა მქონეს ეძებდა თვით-მართვლობა ხსენებულს თანამდებობაზედ, რითაც ვისარგებლებდი არჩეულ თანამემწის ღირსებათა ჩამოთვლაში, მაკრამ შორს დავრჩით სასურველსა და თქვენც უნდა დავაყოფილდეთ მართა მისის სახელისა და გვარის შეტყობით. არჩეული ბ-ნი სარქის მიდისოვი. ღირსებათი კონას მაშინ შევუკრავთ, როცა მისგან ასრულებულს თანამდებობას თვალ-ყურს ვადევნებთ. უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაზედ მეტად სუსტობს სწორედ ის მხარე თვით-მართვლობის მოქმედებისა, რომელიც თანამემწის ვალდებულებას შეადგენს. ჩვენ არ ჩამოვთვლით, თვით კარგად იცის, ხოლო კარგად შესრულება არის საჭირო. ჯერ-ჯერობით მის არჩევანზედ მართა ეს ითქმის, რომ იგი შედეგია წარსულისა და იქმდის ცხად-ყოფილი წარსულშივე, რომ დიდის ხნით აღრე ვიწინასწარმეტყველეთ.

თელავის ტაძრის წინამძღვრად გადმოყვანილ იქნა დეკანოზი მ. მიხეილ ხელაშვილი დეკანოზის ილია ხირსელის მაგიერ, რომელმაც თავი დაანება სამსახურს. ახალ წინამძღვრს დაუტოვეს თანამდებობა ბლაღოჩინისა, იგივე დარჩა თავ-მჯდომარედ სამრევლო სკოლების სამოსწავლო განყოფილების საბჭოსი. დეკანოზი ხელაშვილი ბეჯითი კაცია და, სრული იმედი გვაქვს, თავის ბეჯითობის ახალს თანამდებობაზედ გამოიჩენს ტაძართან სამრევლო სკოლის დაარსებით და სამოსწავლო განყოფილების სულის ჩადგმით.

თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში მიიწვიეს საღმრთო სჯულის მასწავლებლად მღ. ტერ-სტეფან ტერ-საკოვი, მღვ. ტერა ბელ სუქიასოვის მაგიერ, რომელიც, მისისავე თხოვნის თანახმად, დათხოვილი იქნა ამ თანამდებობიდან.

თელავის სამოქალაქო სასწავლებელში მასწავლებლის თანამდებობაზე მიიწვიეს კნ. მარიამ ესტატეს ასული ვახუშტიშვილისა. უნდა მოგახსენოთ, რომ თელავის სამოქალაქო სასწავლებლისათვის ეს ამბავი ახალია და გამოუცდელი. სასწავლებლის დაარსების შემდეგ მასწავლებ-

ლად ქალი არასოდეს არა ყოფილა. ამ ოთხის წლის წინად ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენი თავადის ქალი სამოქალაქო სკოლაში მასწავლებლად შევიდოდა! ის კი არ გვეგონათ, რომ ქალბ. მარიამ ვახუშტიშვილისა უცნობი იყოს ამ თანამდებობისა, — არა, იგი ავერ სამი წელიწადია ერთგულად და ბეჯითად მოღვაწეობდა ქალთა საზოგადოებისაგან დაარსებულს უსასყიდლო სკოლაში და მისს მოღვაწეობას სასურველი ნაყოფიც ჰქონდა. საქმე ის არის, რომ თელავის ქალთა შენგია ნაყოფიერ საქმიანობას და ეს საქმიანობა მისი იქამდე სასიკეთოა, რომ თელავის ქულოსანთ თუ ქულები დადეს „სამართლისა გასაჩენად“, დარწმუნებული ვარ, თვითან თავის სასარგებლო განაჩენს ვერ შეადგენენ. დიდად სასიამოვნო არის კნაიუ. მარიამ ვახუშტიშვილის ასპარეზზედ გამოვლო. „კვლავ უფრო“ მრავალი გავგვგონოს მისთანა ამბავი. იქნება სთქვის ვინმემ, ეგ რა გავგზარბია, ტფილისის სამოქალაქო სასწავლებლები სავსეა მასწავლებელ ქალებითაო. ეს სულ სხვა ამბავია და ეგ სულ სხვა, როცა ქალი გაქირავებული მიდის მასწავლებლად და როცა იგი მიდის გაუქირავებლად, შემგნებელი თავისი დამოუკიდებლობისა, სხვა და სხვა ამბავია. ტფილისშიაც ერთი ამისთანავე მასწავლებელი-ქალი კნ. მარიამ რევაზის ასული ვახუშტიშვილისა იხევე თელავში გამოჰგზავნა. ამით გარდა მესამესაც დავასახელებთ, რომელიც შევიდა მასწავლებლად თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში და რომლის მასწავლებლობას არავინ არ იფიქრებდა, — ეს ვახლავთ ქ-ნი სოფია დავითის ასული აბელივისა.

ნაღვივრელი

რუსეთი

როგორც საერო განათლების სამინისტროს ცნობებიდან ჩანს, 1897 წელს მთელს რუსეთის იმპერიაში სულ 78,724 პირველ-დაწყებითი სასწავლებელი ყოფილა ყველა უწყებისა. ამ რიცხვიდან საერო განათლების სამინისტროსი — 32,708 სასწავლებელი, უწმ. სინოდისა — 34,838 სასწ., იმპერატორისა მარიამს დაწესებულებისა — 357 სასწ., სამიპერატორო კაცთ-მოყვარე საზოგადოებისა — 45 სასწ.; სამიპერატორო კარის სამინისტროსი და საუფლისწულო უწყებისა — 39 სასწ., შინაგან საქმეთა სამინისტროსი — 459 სასწ., ფინანსთა სამინისტროსი — 3 სასწ., ზღვათა სამინისტროსი — 7 სასწ.; სამხედრო სამინისტროსი — 10,270 სასწ.; ყველა ზემო ჩამოთვლილ სასწავლებელში ხსენებულ წელს 3,801,133 მოსწავლე ირიცხებოდა; აქედან საერო განათლების სამინისტროს სასწავლებლებში — 2,339,934 მოსწავლე, უწმ. სინოდის სასწავლებლებში — 1,116,492 მოსწ., სამხედრო სამინისტროს სასწავლებლებში — 301,093 მოსწავლე. რაც შეეხება მთელს იმპერიის პირველ დაწყებითს სასწავლებლებს მასწავლებლად, ხსენებულ წელს მათი რიცხვი 113,984 იყო (91,105

კაცი და 22879 ქალი), აქედან საერო განათლების სამინისტროს სასწავლებლებში იყო 69,078 მასწ., სამხედრო სამინისტროს სასწავლებლებში — 13,549 მასწავლეელი.

უცხოეთი

საზრანგეთი. გაჭყობაში მოკვანდა რამდენიმე დაწვრილებითი ცნობა საკანცლია ზღაპრის მიერ კავანკისა, ცურდინდისა და შანუნას ჩვენების წამოართქვის შესახებ. საუურადღებოა ის ნაწილი მათის ჩვენებისა, რომელ-ზედაც ასინი იმეარებენ თავიანთს აზრს, — დრეიფუსი დანაშაურო. კაპუნიაკი იმიტომ არის დაწმუნებული დრეიფუსის დანაშაურობას, რომ მარტო დრეიფუსს შეეძლო ეშოვნა ის ქაღალდები, რომლებიც ბორდეროში არის წამოთვლილი. ცურდინდინი ექსპერტების ჩვენებაზე არის დამარბული, რომლებიც ბორდერო შეადრეს დრეიფუსისა სულთ ნაწერს და ამ დასკვნას დაადგენ, რომ იგი უთუოდ დრეიფუსის სულაა. შანუნას-კი არავითარი საბუთი არა ჰქონია იმ იფქრისა, რომ უთუოდ დრეიფუსია დანაშაუკ და სხვა არავინა, რომ მთავარ შტაბის საიდუმლო გასცა. შანუნა ჰფიქრობს, რომ დრეიფუსია ერთადერთი კაცი, რომელ-ზედაც შეიძლება დაეკავი შეტანა და, მასსადამე, ის უნდა იყოს დანაშაუკო. — საფრანგეთის სასაქმეთა მინისტრად ნამყოფ ტრელიას გაჭყობა „Union Republicaine de Jura“ ამტკიცებს, რომ ის სეპა, გათამც საიდუმლო დოსიე ამტკიცებდეს დრეიფუსის დანაშაულობას და ატრუფეკ ითამც ამ დოსიეს გამომჟღავნებას შეეძლოს მშეიდობანობის დადრეკვა, სამართლეს მოკლებულია. განა შესაძლებელი არის, კითხულობს გაჭყობა, თუ კი მართლად ასეთი საბუთის ქაღალდი არსებობს, მინისტრთა საბჭოსათვის არ წარუდგინა იგი მთავარს შტაბის განსახალგაუდ? რა წარმოსადგენია და რა სათქმელია, როცა მინისტრთა საბჭო ასეთს ქაღალდს განიხილავდა, დრეიფუსის საქმისთვის ასეთი მიმართულება მიეცა? უნდა კიდრადო, განაგრძობს გაჭყობა, რომ ეველადერი, რაც კი ასე თუ ისე დრეიფუსს ამტკიცებს, განსაღულ იქნა მინისტრთა საბჭოსაგან და შეიძვეტ საკანცლია ზღაპრის მიერ. სამხედრო მინისტრე ბად ნამყოფთ არაფერი არ დაუმაღავთ რც, ამათის აზრით, დრეიფუსს ჩინქსა სცხესო. ამათ რაც სთქვას, იმაზედ მეტა გამამტყუნებელი საბუთი დრეიფუსის წინააღმდეგ არა მოამოკება-რო. მთელი ისტორიის საიდუმლო დოსიეს შესახებ მოგონილი ამბავი, რომელსაც სამართლესთან არავითარი კავშირი არა აქვს რა. იმიტომ საკანცლია ზღაპრისთვის მეტა საიდუმლო დოსიე მოათხვავს, რომელიც სრულებით არ არსებობს.

დამაკვირდი

პირველ საეკარულსთანა მშეკნაერს გრძობას გული კვრასოდეს კერ გა-მოსცდის.

გისაც სიეკარული შეუძლიან, ის მოსუნი არ არის.

პონტანუსი

 აუბა, კით შეეე, გულსა შინამჯდომარე, სიმდაბლისაგან ამდაღებული ზენად; სიდიეს უბრძანე წარსულად წარვიდის, სოფო ცრემლთა მათ ტკბილთა მოსცვით მოკაიდოდას.

ნიკოლოზ ტფილელი

მშრანალ-გაჭეთიმიდგან

(ამოკრებილი ამბავი)

ატალის გაჭეთიმი იუწყებინ, რომ ტურინში იმართება საერთაშორისო კონგრესი სტუდენტებისა. სტუდენტების წარმომადგენელი მოვიდნენ: პარიტიდგანა, ბრიუსელიდან, ლიეტიდგან, ბუდაპეტიდგან, ბუპარესტიდგან, მონბელიდგან, ციურიტიდგან, ბუენოს-აირსიტიდგანა და გაავიდგან. დღეუ პტები მოვიდნენ თავიანთის დროშებითა და ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება.

 პრუსიის უმაღლესმა სასამართლომ განაცხადა ამ დღეებში, რომ ვაჭრების იმგვარი განცხადება, როგორც, მაგალითად, „სხვა სადგომში გადასვლის გამო საქონლის გაყიდვა იაფად“, „სულ მცირე ფასად იყიდება საქონელი“, „სხვა ქალაქში წასვლის გამო იყიდება საქონელი იმ ფასად, რა ფასადაც თვით ქარხანა ჰყიდის“ და სხვა ამგვარი დანაშაულად უნდა ჩაითვალოს და ხალხის მოტყუებად. იმიტომ ამ ვაჭრებს სამართალში მისცემენა.

 პეტერბურგში მისულა სევასტოპოლიდგან ერთი ინფენერი-ტენიკოსი და თან მიუტანია ახლად გამოგონილი და გაკეთებული პაწია გემი, რომლის წყალში დაღუპე თურმე ყველად შეუძლებელია. ამ პაწია გემს გამოსცდიან და თუ მართლა ისეთი აღმოჩნდა, როგორც თვით ინფენერი გრინბაუმი ამტკიცებს, მიზინვე შეუდგებიან იმ გემზე დიდის გემის გაკეთებას.

 მონტე-კარლოში უკვე დაიწყო მოქმედება რულეტკამ და მრავალი კაცი კიდევ გააკრტა და რამდენიმე წუთი-სოფელსაც გამოასალმა. სხვათა შორის თავი მოიკლეს მექსიკიდან მოსულმა ახალგაზდა ცოლქმარმა. თურმე ეხლანან დაფერათ ჯვარი, წამოსულან ევროპაში სამოგზაუროდ, შეუვლიათ მონტე-კარლოში, წაუგიათ 300,000 ფრანკი და შემდეგ წუთი-სოფელს გამოასალმებინ.

დეკემბერი
 (რუსეთის დეკემბრთა სააგენტოს აგან).
 19 ნოემბერი
პამბარზრბი. ხელმწიფე იმპერატორმა შესწირა ნახევარი მილიონი მანეთი წითელ ჯვარს იმ გლეხთა სასარგებლოდ, რომელნიც 1898 წლის მოუსავლობით დაზარალებულ იქმნენ.

ლივადია. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და 18 ნოემბერს დაესწრო სევასტოპოლში აღმირალის ნახიზოვის ძეგლის კურთხევას. შემდეგ „შტანდარტის“ გემით უკანვე ლივადიაში წაბრძანდა.

პარიჰი. მადგასკარიდგან ამბავი მოვიდა, რომ პამატაეში რამდენიმე კაცი მუწუკებიანის შავის ქარით გახდა ავადაო. ზომებია მიღებული, რათა ქირი არ გავრცელდეს.

რამბინო. კრიტიდგან მიღებულ მრავალ დეკემბრთა საპასუხოდ, ბატონიშვილმა გიორგიმ განაცხადა, იმედი მაქვს, რომ კუნძულის ორივე ერთი მხარს დამიქერს და გამახორციელებინებს ჩემს სურვილს — კუნძულთ პროგრესისა და აღყავების გზაზედ იქმნას დაყენებულიო.

კონსტანტინეპოლი. კრიტიდგან ამბავი მოვიდა აქ, — აღმირალთა საბჭომ გადასწყვიტაო, რომ ოსმალეთის დროშა, როგორც ნიშანი ხოთქრის უზენაესის მფლობელობისა, მხოლოდ სულში იქმნება გაშლილი, ოთხ დიდ სახელმწიფოს დროშასთან ერთადო.

რუსეთის აღმირალმა უარი განაცხადა ხელი მოაწეროს აღმირალების უკანასკნელ განაჩენს სიკვდილით დასჯის შესახებ, განაცხადა-რა, რომ ეს უფლება ბატონიშვილს ეკუთვნისო.

ბოგბი. უკანასკნელ ცნობებით, გადის მოლის მ-მხრენი თანდათან მატულობენ.

პამბარზრბი. გრაფი ლევ ნიკოლოზი ძე ტოლსტოი ათავებს დიდს მოთბობას „კვირა“, რომელიც „ნივამ“ შეიძინა. მოთბობის ბეკედვა ამ ჟურნალში დაიწყობა მომავლის წლის იანვრის ნახევრიდგან.

Келерская
 КАРМАННАЯ ДОРОЖНАЯ
Аптечка
 содержит 20 необходимых и предметов для оказания первоначальной помощи при всяких случаях ветрячашущихся заболеваний, порчен. и пр. с. наставлениемъ.

ФАБР.-ТОРГ. Т-ВА
„Р. Келеръ и К°“
 ВЪ МОСКВѢ.

Продажа особымъ циркуляромъ Медицинскаго Департамена отъ 24 декаб. 1897 г. № 8906 разрешена не только въ аптекахъ, но и всюду: въ магазинахъ, на желъзнодорожн. станцияхъ, пароходныхъ пристаняхъ и т. д.

• ПРОДАЖА вездѣ и всюду. •